საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2517/01
16/03/2022

2517-01-2-202203161753

შპს „მესხეთავტოგზას“

მის: ქ. ახალციხე, დ. აღმაშენებლის ქ. №1ა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №3027 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ახალციხეში შპს „მესხეთავტოგზის“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველში მითითებულია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კომპანიის მიერ დაგეგმილია არსებული ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების, კერძოდ, წარმოებაში გამოყენებული საწვავის, ცვლილება. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს განცხადების წარმოდგენის სამართლებრივი საფუძველი;
- სკრინინგის განცხადებაში დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია როგორც არსებული, ისე დაგეგმილი საქმიანობის (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) შესახებ. დოკუმენტში აღწერილი და შეფასებული უნდა იყოს ყველა ის ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში და ასევე, აღნიშნული ცვლილებების შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე